განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 14 სექტემბერი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 4 დეკემბერი, 2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (პირველი საფეხური)
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის ბაკალავრი 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დევიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბურჯანაძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

„მეჯმენტის“ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხის მქონე, მომავალზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის ფართო თეორიულ ცოდნას ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში და აქვთ ცვალებად ეკონომიკურ გარემოში ადაპტაციის, მიზნის ჩამოყალიბების, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, ცალკეული პრობლემების გადაჭრის ახალი და ორიგინალური გზების დასახვის პრაქტიკული უნარჩვევები. ასევე, მართვის თანამედროვე მეთოდებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნასთან ერთად, აქვთ რეგიონული ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში (საზღვაო გადაზიდვები, ლოგისტიკური ფირმები, საზღვაო ნავსადგურები, სატრანსპორტო საწარმოები, საბანკო და მიკრო-საფინანსო დაწესებულებები) მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების ანალიზის უნარი და შეუძლიათ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.

პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. აქედან საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებზე - 45 კრედიტი მოდის, არჩევით კურსებზე -15 კრედიტი, პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებზე - 120 კრედიტი, პროგრამის არჩევით კონცენტრაციებზე: 60 კრედიტი „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“, 60 კრედიტი „მცირე ბიზნესის მართვა“.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილია „მენეჯმენტის“ ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (განხორციელების ადგილი - ფოთი), თუმცა წლების მანძილზე ფოთში ფუნქციონირებდა „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რაც ხელს უწყობდა რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას (გაუვიდა აკრედიტაციის ვადა).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 14 სექტემბერს. ვიზიტამდე, 11 სექტემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (რუსუდან სეთურიძე, ეკა ლეკაშვილი, ეკა დევიძე, დავით ბურჯანაძე), 16^{00} საათიდან და 18^{00} საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა.

ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

14 სექტემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 11^{00} საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ვინაიდან სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 2.1 და 2.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.5 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.3 და 2.2 კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, სადაც 5.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 5.3 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.2 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. მიზანშეწონილია პროგრამამ იფუნქციონიროს, როგორც ინტერფაკულტატური (ორი ფაკულტეტის: საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტისა და ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე), ვინაიდან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების მენეჯმენტის დარგის კუთხით ყველა საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი აქტივობები თავს იყრის ქუთაისის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და შესაბამისად ხელს შეუწყობს მენეჯმენტის დარგის განვითარებას.
2. მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული მენეჯმენტის დარგის განვითარებაზე.
3. მიზანშეწონილია პროგრამაში აღინიშნოს და დაკონკრეტდეს შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობები და მოთხოვნები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამის სპეციფიკა და უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში სასწავლებლად ჩართვა.
4. საჭიროა პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის მოდიფიცირება. კერძოდ, პროგრამის კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პროგრამის კონტექსტი ორიენტირებული იყოს მენეჯმენტის პრობლემატიკის შესწავლაზე და ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა ,,ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარები“, ბიზენსის სამართლის საფუძვლები“, „Excel ბიზნესისათვის“ - შემოთავაზებული იქნას არა არჩევითი, არამედ სავალდებულო კომპონენტების სახით, „მცირე ბიზნესის მართვის კონცენტრაციის“ სავალდებულო საგანი ,,ბიზნესის ეთიკა“ გადავიდეს პროგრამის

ძირითად სასწავლო კურსების ჯგუფში, ხოლო სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში წარმოდგენილი იყოს ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები. ასევე, სასწავლო კურსი „შესავალი ბიზნესში“ (V სემესტრი) „მცირე ბიზნესის“ არჩევითი კონცენტრაციდან გადავიდეს პროგრამის ძირითად სასწავლო კურსების ჯგუფში (I სემესტრი); გადამუშავდეს კალკულუსი 1, 2, 3 სილაბუსები, კალკულუსი 1 ან გადაკეთდეს პრეკალკულუსად ან გავიდეს კურიკულუმის გარეთ.

5. მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს კონცენტრაციის არჩევის წინაპირობები სასწავლო კურსების სახით.
6. მიზანშეწონილია განახლდეს სასწავლო მასალა საგნებში: ,,კომპიუტერული უნარები“(2008), „ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები“(2006), „შესავალი მენეჯმენტში“(2008), „შესავალი მარკეტინგში“(2009,2010), „მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები“(2009,2010), „ორგანიზაციული ქცევა“(2009), „საბაჟო საქმე“(2002,2003) და სხვა. ასევე სასწავლო მასალისთვის თარიღის დაფიქსირება შემდეგ საგნებში: „ინფორმაციული სისტემები ტრანსპორტზე“, „საზღვაო–სატრანსპორტო გადაზიდვების ტექნოლოგია“ და სხვა.
7. სასწავლო კურსებში არ არის ასახული ის შედეგები, რომლებიც უნდა გამომუშავდეს სწავლების პროცესში. მაგალითად ,,გარემო და მდგრადი განვითარება“ - არ აქვს ღირებულებები; ,,შესავალი მარკეტინგში“, ,,ტრანსპორტის მენჯმენტი“, ,,ფლოტის მართვა და გემების აგენტირება“, ,,თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები“, ,,ფინანსური ანალიზი მცირე საწარმოებში“ - არ აქვს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები; „სასწავლო საწარმოო პრაქტიკის“ სილაბუსში კი არ არის წარმოდგენილი სწავლის უნარი. მიზანშეწონილია, გადამუშავდეს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსები და აისახოს ის რეალური შედეგები, რომელთა გამომუშავებაც ხდება სწავლა/სწავლების პროცესში.
8. მიზანშეწონილია შეფასდეს სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის საჭიროება და მოხდეს კრედიტების განაწილების დაზუსტება პროგრამისთვის.
9. მიზანშეწონილია სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი გატანილ იქნას ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნების კომპონენტში.
10. მიზანშეწონილია ეკონომიკური პროფილის საგნების კურსი წაიყვანოს ეკონომიკის დარგის სპეციალისტმა
11. მიზანშეწონილია მემორანდუმებში დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი კონტინგენტის მოცულობა და ასევე სტუდენტის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები.
12. რეკომენდირებულია, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის ადგილზე შემუშავდეს საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში მონაწილეობის მექანიზმი, რათა მათ საშუალება მიეცეთ ჩაერთონ უნივერსიტეტში არსებულ ყველა აქტივობაში.
13. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი ჩაერთოს სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საკითხებში, რათა სტუდენტებმა შეძლონ ისარგებლონ საერთაშორისო აქტივობებით.
14. უსდ-მ უზრუნველყოს სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმის შემუშავება, საჭიროა გამოიყოს დამატებითი ფინანსური რესურსი, რაც აკადემიურ, სამეცნიერ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს მეტად ჩაერთოს სამეცნიერო და პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

15. მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის სწავლის შედეგების შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში გადამზადება.
16. მიზანშეწონილია უსდ/ფაკულტეტმა უზრუნველყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება ინტენსიური ტრენინგ კურსების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების მეშვეობით და ხელი შეუწყოს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას მენეჯმენტის დარგის მიმართულებით
17. უსდ/ფაკულტეტმა უნდა უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, ამასთან გაიზარდოს და კეთილმოეწყოს საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საბიბლიოთეკო სივრცე.
18. უსდ/ფაკულტეტის მიერ უნდა შეიქმნას პროგრამის ფინანსური მდგრადობის განმსაზღვრელი დოკუმენტი, პროგრამის ბიუჯეტში დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი ხარჯვითი ლიმიტი (კომპონენტების მიხედვით: პრაქტიკა/სტაჟირება, სასწავლო/პროგრამული და კვლევითი ხარჯი და ა.შ.)
19. მიზანშეწონილია გააქტიურდეს ფაკულტეტის ხარისხისა და უსდ-ს ხარისხის სამსახურებს შორის თანამშრომლობა.
20. მიზანშეწონილია ფაკულტეტზე ამოქმედდეს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების სისტემა და მიეცეს მას მუდმივი ხასიათი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - ✓ სასურველია თითოეული სწავლის შედეგისთვის შემუშავებული იყოს სამიზნე ნიშნული, მოხდეს მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისად სამიზნე ნიშნულთან დადარება.
  - ✓ სასურველია სასწავლო კურსს „წარმოების მენეჯმენტი“ ეწოდოს „ოპერაციული მენეჯმენტი“.
  - ✓ სასურველია მოხდეს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების უფრო მეტ სასწავლო კურსებში გამოყენება.
  - ✓ სასურველია აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა აქტიურად ჩაერთოს პროგრამის განვითარების პროცესებში (ურთიერთთანამშრომლობა სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის სამსახურებთან).
  - ✓ სასურველია პროგრამის ხელმძღვანელებმა კიდევ უფრო მეტად აიმაღლონ პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა.
  - ✓ სასურველია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის ხელმძღვანებლებმა ხარისხის სამსახურთან ერთად ითანამშრომლონ გარე შემფასებლებთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც დაწესებულების განმარტებით ახორციელებს კვლევით საქმიანობას, ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებს, „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის შექმნა-გავრცელებასა და სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში. დაწესებულების განმარტებით მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხის მქონე, მომავალზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის ფართო თეორიულ ცოდნას ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში და აქვთ ცვალებად ეკონომიკურ გარემოში ადაპტაციის, მიზნის ჩამოყალიბების, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, ცალკეული პრობლემების გადაჭრის ახალი და ორიგინალური გზების დასახვის პრაქტიკული უნარჩვევები. ასევე, მართვის თანამედროვე მეთოდებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნასთან ერთად, აქვთ რეგიონული ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში (საზღვაო გადაზიდვები, ლოგისტიკური ფირმები, საზღვაო ნავსადგურები, სატრანსპორტო საწარმოები, საბანკო და მიკრო-საფინანსო დაწესებულებები) მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების ანალიზის უნარი და შეუძლიათ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება. ინტერვიუების დროს მოწოდებული იქნა შემდეგი ინფორმაცია: 1992 წელს ქ. ფოთში გაიხსნა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფოთის ფილიალი, რომელსაც 1994 წელს დაემატა დასწრებული სწავლების განყოფილება და აღნიშნული ფილიალი გადაკეთდა ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ფოთის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტად. 1997 წელს ქ. ფოთის მერიის კაბინეტის

დადგენილების (№ 1/02 1997 წლის 30 იანვარი) საფუძველზე ინსტიტუტი რეგისტრაციაში გატარდა როგორც ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ფოთის საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №39 დადგენილების თანახმად განხორციელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის ნ.მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის რეორგანიზაცია მათი გაერთიანების გზით. საგანმანათლებლო დაწესებულებას სტატუსად განესაზღვრა უნივერსიტეტი და ეწოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფოთის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტს კი მიენიჭა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის სტატუსი. 2007 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე ფოთის საინჟინრო-ეკონიმიკურ ინსტიტუტს ეწოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი. ფაკულტეტზე 2009 წლიდან ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, რომელსაც ივლისში გაუვიდა აკრედიტაციის ვადა. გასათვალისწინებელია, რომ ფოთის პორტს, როგორც შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვისა და ცენტრალური აზიის კომერციული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი კარიბჭის უპირატესობები და ხელსაყრელი პირობები გააჩნია, აქედან გამომდინარე საზღვაო მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა წლების მანძილზე მოთხოვნადი იყო.

დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუებიდან გამომდინარე მიზანშეწონლად მიგვაჩნია მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამამ იფუნქციონიროს, როგორც ინტერფაკულტატური (ორი ფაკულტეტის: საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტისა და ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე), ვინაიდან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების მენეჯმენტის დარგის კუთხით ყველა საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი აქტივობები თავს იყრის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (ქუთაისში). შესაბამისად, პროგრამა ნაწილობრივ ორიენტირებულია დარგისა და საზოგადოების განვითარებაზე, რაც მიღწევადია ძირითადი სასწავლო კურსების ათვისებით და კურიკულუმის გარეშე აქტივობებით.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან, ნათლად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ აღსანიშნავია, რომ პროგრამა მენეჯმენტის დარგის განვითარებაზე ნაწილობრივ არის ორიენტირებული.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რაც რეგიონისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია https://www.atsu.edu.ge/index.php/mission-geo
- თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა https://www.atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo#mimartulebebi
- პროგრამის მიზნები
- ფაკულტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- თვითშეფასების კითხვარი;
- მენეჯმენტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე სტუდენტებთან ინტერვიუები.
- ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პროგრამამ იფუნქციონიროს, როგორც ინტერფაკულტატური (ორი ფაკულტეტის: საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტისა და ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე), ვინაიდან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების მენეჯმენტის დარგის კუთხით ყველა საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი აქტივობები თავს იყრის ქუთაისის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და შესაბამისად ხელს შეუწყობს მენეჯმენტის დარგის განვითარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (ბრძანება #120ნ. 2010 წლის 10 დეკემბერი) დამტკიცებული ეროვნული

საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული მენეჯმენტის დარგის განვითარებაზე. პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული პირი. შედეგების ფორმირებისას გათვალისწინებული იქნა დამსაქმებლთა რეკომენდაციები, რომელთაგან მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკულ სწავლებაზე მეტი ორიენტირება, სწავლების მეთოდებისა და კვლევის უნარების გაუმჯობესება. მომიჯნავე, საზღვაო მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები ადასტურებს, რომ მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. სასურველია თითოეული სწავლის შედეგისთვის შემუშავებული იყოს სამიზნე ნიშნული, მოხდეს მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისად სამიზნე ნიშნულთან დადარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი; • მომიჯნავე სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული მენეჯმენტის დარგის განვითარებაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია თითოეული სწავლის შედეგისთვის შემუშავებული იყოს სამიზნე ნიშნული, მოხდეს მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისად სამიზნე ნიშნულთან დადარება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებ ლოპროგრამისმ იზანი, სწავლისშედეგე ბიდამათთანპრ ოგრამისშესაბამ ისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ასევე, განსაზღვრულია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის წინაპირობებიც, რომელიც დადგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაში წინაპირობებში არ არის აღნიშნული, რომ პროგრამაზე სწავლა შესაძლებელია გარე და შიდა მობილობის საფუძველზეც, თუმცა თვითშეფასების ანგარიშში მობილობის შესაძლებლობაც მოცემულია. მიზანშეწონილია, პროგრამის წინაპირობებში მითითებული იქნას შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობა, რაც უფრო სრულყოფილ ინფორმაციას მიაწვდის პროგრამაზე სწავლით დაინტერესებულ პირებს და არ მოუწევთ ინფორმაციის

ძიება სხვადასხვა წყაროებიდან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მეტწილად ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მეტწილად ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, პროგრამების კატალოგში. ამასთან, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს ღია კარის დღეს აბიტურიენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/ ;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, პროგრამაში აღინიშნოს და დაკონკრეტდეს შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობები და მოთხოვნები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამის სპეციფიკა და უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში სასწავლებლად ჩართვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის

სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. აქედან საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებზე - 45 კრედიტი მოდის, არჩევით კურსებზე -15 კრედიტი, პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებზე - 120 კრედიტი, პროგრამის არჩევით კონცენტრაციებზე: 60 კრედიტი „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“, 60 კრედიტი „მცირე ბიზნესის მართვა“ . პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი მეტწილად ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, რაც არგუმენტირებულია 2.1 ქვესტანდარტში. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის ECTS სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ნაწილობრივ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პროგრამის კონტექსტი ორიენტირებული იყოს მენეჯმენტის პრობლემატიკის შესწავლაზე და ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა ,,ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარები“, ბიზენსის სამართლის საფუძვლები“, „Excel ბიზნესისათვის“ - შემოთავაზებული იქნას არა არჩევითი, არამედ სავალდებულო კომპონენტების სახით, „მცირე ბიზნესის მართვის კონცენტრაციის“ სავალდებულო საგანი ,,ბიზნესის ეთიკა“ გადავიდეს პროგრამის ძირითად სასწავლო კურსების ჯგუფში, ხოლო სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში წარმოდგენილი იყოს ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები, რადგან კურსის საფუძველზე მიღებული ცოდნა და უნარები მენეჯერს ეხმარება სწორად მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანად გატარებაში. აღნიშნულის საჭიროება დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც. საჭიროებები „მცირე ბიზნესის“ არჩევითი კონცენტრაციდან სასწავლო კურსი „შესავალი ბიზნესში“ (V სემესტრი) გადავიდეს პროგრამის ძირითად სასწავლო კურსების ჯგუფში (I სემესტრი). ასევე გადამუშავდეს მათემატიკა 1, 2, 3 სასწავლო კურსების სილაბუსები, ისე რომ მათემატიკა 1 ან გადაკეთდეს პრეკალკულუსად ან გავიდეს კურიკულუმის გარეთ. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) ნაწილობრივ არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ნაწილობრივ ადეკვატური. საჭიროა დაკონკრეტდეს კონცენტრაციის არჩევის წინაპირობები სასწავლო კურსების სახით. პროგრამის სასწავლო მასალები ნაწილობრივ ეყრდნობა ახალი კვლევის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს. მიზანშეწონილია განახლდეს სასწავლო მასალა საგნებში: ,,კომპიუტერული უნარები“ (2008), „ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები“ (2006), „შესავალი მენეჯმენტში“ (2008), „შესავალი მარკეტინგში“ (2009,2010), „მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები“ (2009,2010), „ორგანიზაციული ქცევა“ (2009), „საბაჟო საქმე“ (2002,2003) და სხვა. ასევე საჭიროა სასწავლო მასალისთვის თარიღის დაფიქსირება შემდეგ საგნებში: „ინფორმაციული სისტემები ტრანსპორტზე“, „საზღვაო–სატრანსპორტო გადაზიდვების ტექნოლოგია“ და სხვ. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და

ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

- საჭიროა პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის მოდიფიცირება. კერძოდ, პროგრამის კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პროგრამის კონტექსტი ორიენტირებული იყოს მენეჯმენტის პრობლემატიკის შესწავლაზე და ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა ,,ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარები", ბიზენსის სამართლის საფუძვლები", „Excel ბიზნესისათვის" - შემოთავაზებული იქნას არა არჩევითი, არამედ სავალდებულო კომპონენტების სახით, „მცირე ბიზნესის მართვის კონცენტრაციის" სავალდებულო საგანი ,,ბიზნესის ეთიკა" გადავიდეს პროგრამის ძირითად სასწავლო კურსების ჯგუფში, ხოლო სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში წარმოდგენილი იყოს ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები. ასევე, სასწავლო კურსი „შესავალი ბიზნესში" (V სემესტრი) „მცირე ბიზნესის" არჩევითი კონცენტრაციდან გადავიდეს პროგრამის ძირითად სასწავლო კურსების ჯგუფში (I სემესტრი); გადამუშავდეს კალკულუსი 1, 2, 3 სილაბუსები, კალკულუსი 1 ან გადაკეთდეს პრეკალკულუსად ან გავიდეს კურიკულუმის გარეთ.
- მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს კონცენტრაციის არჩევის წინაპირობები სასწავლო კურსების სახით.
- მიზანშეწონილია განახლდეს სასწავლო მასალა საგნებში: ,,კომპიუტერული უნარები" (2008), „ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები" (2006), „შესავალი მენეჯმენტში" (2008), „შესავალი მარკეტინგში" (2009,2010), „მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები" (2009,2010), „ორგანიზაციული ქცევა" (2009), „საბაჟო საქმე" (2002,2003) და სხვა. ასევე სასწავლო მასალისთვის თარიღის დაფიქსირება შემდეგ საგნებში: „ინფორმაციული სისტემები ტრანსპორტზე", „საზღვაო–სატრანსპორტო გადაზიდვების ტექნოლოგია" და სხვ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსს „წარმოების მენეჯმენტი" ეწოდოს „ოპერაციული მენეჯმენტი".

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის და სილაბუსების შესწავლისას დადგინდა, რომ ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსებში არ არის ასახული ის შედეგები, რომლებიც უნდა გამომუშავდეს სწავლების პროცესში. მაგალითად: ,,გარემო და მდგრადი განვითარება“ - არ აქვს ღირებულებები; ,,შესავალი მარკეტინგში“, ,,ტრანსპორტის მენჯმენტი“, ,,ფლოტის მართვა და გემების აგენტირება“, ,,თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები“, ,,ფინანსური ანალიზი მცირე საწარმოებში“- არ აქვს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები; სასწავლო საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში კი არ არის წარმოდგენილი სწავლის უნარი. მიზანშეწონილია, გადამუშავდეს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსები და აისახოს ის რეალური შედეგები, რომელთა გამომუშავებაც ხდება სწავლა/სწავლების პროცესში.

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი ნაწილობრივ შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მეტწილად შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ყველა სასწავლო კურსი 5 კრედიტიანია, რაც ძირითადად განპირობებულია ადმინისტრირების გამარტივების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მიმდინარეობს ამ მიმართულებით სასწავლო კურსების შეფასება და უახლოეს მომავალში განსხვავებული კრედიტების მიხედვით შეფასდება სასწავლო კურსები.

ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა უმეტესად ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა

სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება სილაბუსში გაწერილი შეფასების მეთოდების მიხედვით. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ნაწილობრივ შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ნაწილობრივ შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს, რის შესახებაც აღინიშნა 2.2 ქვესტანდარტის შეფასებისას და ასევე, ნაწილობრივ ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მენეჯმენტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები: ○ სასწავლო კურსებში არ არის ასახული ის შედეგები, რომლებიც უნდა გამომუშავდეს სწავლების პროცესში. მაგალითად ,,გარემო და მდგრადი განვითარება“ - არ აქვს ღირებულებები; ,,შესავალი მარკეტინგში“, ,,ტრანსპორტის მენეჯმენტი“, ,,ფლოტის მართვა და გემების აგენტირება“, ,,თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები“, ,,ფინანსური ანალიზი მცირე საწარმოებში“- არ აქვს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები; „სასწავლო საწარმოო პრაქტიკის“ სილაბუსში კი არ არის წარმოდგენილი სწავლის უნარი. მიზანშეწონილია, გადამუშავდეს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსები და აისახოს ის რეალური შედეგები, რომელთა გამომუშავებაც ხდება სწავლა/სწავლების პროცესში. ○ მიზანშეწონილია შეფასდეს სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის საჭიროება და მოხდეს კრედიტების განაწილების დაზუსტება პროგრამისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამა სასწავლო კურსების შესწავლისას ორიენტირებულია ისეთი თემების, სწავლების და შეფასების მეთოდების გამოყენებაზე, რომლებიც პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება. აღნიშნული მიდგომა განპირობებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების მოთხოვნით: მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მათი ძირითადი თვალსაზრისი პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით ეხებოდა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. ამასთან, პროგრამა დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო საწარმოო პრაქტიკას კონცენტრაციის ფარგლებში. იგი უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების გამომუშავებას სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. მიზანშეწონილია სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი გატანილ იქნას ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნების კომპონენტში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები დამსაქმებლებთან და თვითონაც გვევლინება პრაქტიკის ობიექტის და დამსაქმებლის სახით. დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები არ ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, თუმცა ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. მიზანშეწონილია, მემორანდუმებში დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი კონტინგენტის მოცულობა და ასევე სტუდენტის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები. პროგრამით გათვალისწინებულია აკადემიური წერის შესწავლა და საბაკალავრო ნაშრომი. კვლევითი კომპონენტების განვითარებას პროგრამა უზრუნველყოფს სასწავლო კურსებში ჩართული სწავლა/სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდებით, როგორებიცაა რეფერატი, საშინაო დავალება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია და სხვა. ასევე, კურიკულუმის გარე აქტივობებით - სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობით, სტატიებზე მუშაობით. პრაქტიკის გავლის პერიოდში და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას გაუწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. მათ აქვთ პრაქტიკული მუშაობის ან სამეცნიერო კვლევის გამოცდილება, რაც დადასტურდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი

პირადი საქმეებით და გასაუბრებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მენეჯმენტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა; • პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/ • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციასთან; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი გატანილ იქნას ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნების კომპონენტში. ○ მიზანშეწონილია მემორანდუმებში დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი კონტინგენტის მოცულობა და ასევე სტუდენტის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებულია შემდეგი სწავლის ფორმები: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული მეცადინეობა, პროფესიული პრაქტიკა, კონსულტაცია და დამოუკიდებელი მუშაობა და ასევე სწავლის მეთოდები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ევრისტიკული, შემთხვევების შესწავლა (ქეისები), გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდები, პრაქტიკული, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, ელექტრონული სწავლების დასწრებული ფორმა.

მენეჯმენტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, იგი შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, შემუშავებულია ინდივიდუალური პროგრამა (სტუდენტისთვის მოქნილი გრაფიკი, დამატებითი კონსულტაციების დღე, კურატორი და ა.შ.) რომელიც შედგენილია სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად.

სასურველია მოხდეს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების უფრო მეტ სასწავლო კურსებში გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოხდეს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების უფრო მეტ სასწავლო კურსებში გამოყენება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი (დადგენილება #5(17/18) 15.09.2017 წ), რომელიც მოიცავს შემდეგ შეფასების ფორმებს:

- სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - არა უმეტეს 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას. ასევე აღსანიშნია, რომ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15-25 ქულათა დიაპაზონით (სპეციფიკიდან გამომდინარე).

მიუხედავად უნიფიცირებული შეფასების ფორმებისა, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს: რეფერატს, პროექტს, ქვიზს, ესეს, სიტუაციური ამოცანას და ა.შ. ყველა ზემოთ აღნიშნული ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის - შეფასების მეთოდების რუკა
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #5(17/18) 15.09.2017 წ. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“
- ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა			√	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას სტუდენტები შეძლებენ მიიღონ ელექტრონული ფოსტით და ინდივიდუალური კონსულტაციების გზით. აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის სტუდენტების მომსახურებისთვის გამოყოფილია ფაკულტეტის სამდივნო, სადაც სტუდენტი შეძლებს მიიღოს ინფორმაცია და კონსულტაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები იღებენ დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების უმრავლესობა დასაქმებულია.

სტუდენტებს საშუალება ექნებათ მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, მიუხედავად ამისა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა სრულად ჩაერთონ აღნიშნულ აქტივობებში, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ფოთში, ხოლო ყველა საუნივერსიტეტო აქტივობები თავს იყრის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (ქუთაისში).

ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი ჩაერთოს სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საკითხებში, რათა სტუდენტებმა შეძლონ ისარგებლონ საერთაშორისო აქტივობებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- აწსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის №3(17/18) დადგენილება -„აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ“;
- აკადემიური პერსონალის კონსულტაციების განრიგი;
- ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის ადგილზე შემუშავდეს საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში მონაწილეობის მექანიზმი, რათა მათ საშუალება მიეცეთ ჩაერთონ უნივერსიტეტში არსებულ ყველა აქტივობაში.
- ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი ჩაერთოს სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საკითხებში, რათა სტუდენტებმა შეძლონ ისარგებლონ საერთაშორისო აქტივობებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა			√	

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ

პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 11 აკადემიური პერსონალი. აქედან 1 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 5 ასისტენტ-პროფესორი. 13 მოწვეული პერსონალიდან კი - 12 მოწვეული სპეციალისტი და 1 დოქტორანტი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა ამ შემთხვევაში 11/13. თუმცა, ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ მოწვეული 13 პერსონალიდან 10 იმავე უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალია, რომელიც რეალურად უნდა შესულიყო აკადემიური პერსონალის რიცხოვნობაში. ამ შემთხვევაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა ასე შეიცვლება 21/3.

მენეჯმენტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ პერსონალს აქვს მაღალი კვალიფიკაცია საზღვაო ტრანსპორტის ქვედარგის მიმართულებით, მაგრამ მენეჯმენტის დარგის კუთხით კვალიფიკაცია ნაწილობრივ შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან (მაგ. ტექნიკის აკადემიური ხარისხის მქონე დოქტორები კალკულუსების გარდა ასწავლიან სალექციო კურსებს: სტატისტიკა ბიზნესისათვის, გარემო და მდგრადი განვითარება, შრომის უსაფრთხოება და ჰიგიენა პორტებში და ა.შ.). აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი ნაწილობრივაა ჩართული პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში (კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში, საგრანტო პროექტებში და ა.შ.) მართალია პროგრამის ხელმძღვანელები ჩართულები არიან პროგრამის შემუშავების საკითხებში, მაგრამ სასურველია კიდევ უფრო მეტად აიმაღლონ პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა.

სასურველია აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა აქტიურად ჩაერთოს პროგრამის განვითარების პროცესებში (ურთიერთთანამშრომლობა სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის სამსახურებთან).

მომიჯნავე „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ პროგრამაზე წლების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: 2017 სასწავლო წელს 11-ია (I კურსზე ჩაირიცხა - 5 სტუდენტი, მობილობით გადმოვიდა 6 სტუდენტი); 2016 სასწავლო წელს - 27 (I კურსზე ჩაირიცხა - 4 სტუდენტი, მობილობით გადმოვიდა 23 სტუდენტი); 2015 სასწავლო წელს - 36 (I კურსზე ჩაირიცხა - 10 სტუდენტი, მობილობით გადმოვიდა 26 სტუდენტი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამუშაო აღწერილობები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- საკონკურსო მასალები;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე;

○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია ეკონომიკური პროფილის საგნების კურსი წაიყვანოს ეკონომიკის დარგის სპეციალისტმა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა აქტიურად ჩაერთოს პროგრამის განვითარების პროცესებში (ურთიერთთანამშრომლობა სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის სამსახურებთან). ○ სასურველია პროგრამის ხელმძღვანელებმა კიდევ უფრო მეტად აიმაღლონ პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას საზღვაო სატრანსპორტო ქვედარგის მაღალპროფესიული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჰყავთ.

სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად ნაწილობრივაა შექმნილი აუცილებელი პირობები, ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ არასაკმარისი ფინანსური რესურსის გამო (სამივლინებო და საკონფერენციო ხარჯები) აკადემიური პერსონალი ხშირად ვერ მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, პერმანენტულად ვერ ხდება პერსონალის პროფესიული განვითარების (კომპეტენციების და უნარების გამომუშავება დარგის მიმართულებით) ხელისშემწყობი პროგრამების დაფინანსების უზურნველყოფა, როგორიცაა სხვა ქალაქებში (ეროვნულ დონეზე) ორგანიზებულ ტრენინგებზე დასწრება ან ადგილზე (ფაკულტეტზე) საერთაშორისო ორგანიზაციების ადამიანური რესურსის - ტრენერებისა და დარგის მიმართულებით პრაქტიკოსი-სპეციალისტების მოწვევა.

მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის სწავლის შედეგების შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში გადამზადება.

მიზანშეწონილია უსდ/ფაკულტეტმა უზრუნველყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება ინტენსიური ტრენინგ კურსების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების მეშვეობით და ხელი შეუწყოს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას მენეჯმენტის დარგის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა).
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- უსდ-მ უზრუნველყოს სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმის შემუშავება, საჭიროა გამოიყოს დამატებითი ფინანსური რესურსი, რაც აკადემიურ, სამეცნიერ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს მეტად ჩაერთოს სამეცნიერო და პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.
- მიზანშეწონილია უსდ/ფაკულტეტმა უზრუნველყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება ინტენსიური ტრენინგ კურსების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების მეშვეობით და ხელი შეუწყოს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას მენეჯმენტის დარგის მიმართულებით.

○ მიზანშეწონილია მოხდეს აკადემიური პერსონალის სწავლის შედეგების შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში გადამზადება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამა ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამა ნაწილობრივაა უზრუნველყოფილი იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურით (მიმდინარეობდა გათბობის და გაგრილების სისტემის მონტაჟი) და შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით (კომპიუტერები, დაფები, პროექტორები და ა.შ.), რაც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. განსაკუთრებით მიზანშეწონილია გაიზარდოს და კეთილმოეწყოს საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საბიბლიოთეკო სივრცე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ინტერვიუს და ვიზიტის შედეგები.

რეკომენდაციები:

- უსდ/ფაკულტეტმა უნდა უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, ამასთან გაიზარდოს და კეთილმოეწყოს საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საბიბლიოთეკო სივრცე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა არის ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. პროგრამა ზოგადად ფინანსურად უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ბიუჯეტით, მაგრამ ბიუჯეტში არ არის ჩაშლილი თანხები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პრაქტიკა, სასწავლო/პროგრამული, კვლევითი მიზნებისთვის და ა.შ.). ასევე არ ჩანს პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე ერთჯერადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაფინანსების წყაროები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- უსდ/ფაკულტეტის მიერ უნდა შეიქმნას პროგრამის ფინანსური მდგრადობის განმსაზღვრელი დოკუმენტი, პროგრამის ბიუჯეტში დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი ხარჯვითი ლიმიტი (კომპონენტების მიხედვით: პრაქტიკა/სტაჟირება, სასწავლო/პროგრამული და კვლევითი ხარჯი და ა.შ.)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა			√	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“ (აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - 09.02.2018 , #49(17/18)) რომლის ძირითადი მიზანია:

- უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში სასურველი დონის ხარისხის უზრუნველყოფა, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის შიდა სტანდარტებითა და კრიტერიუმებით;
- უნივერსიტეტის საქმიანობის განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რათა მიღწეული იქნეს ინსტიტუციური ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უწყვეტობა;
- უნივერსიტეტის საქმიანობის შედეგების რეგიონულ და ეროვნულ დონეზე აღიარება და საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ამაღლება;
- ყველა პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

უნივერსიტეტში ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად

პოლიტიკას:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;
2. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA;
3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA;

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA ხორციელდება სამი პროცედურის საშუალებით:

1. EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
2. EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
3. EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, როგორც მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება მესამე პროცედურას და შიდა შეფასება წარიმართა სამ ეტაპად:

I. ცვლილებების განსაზღვრა (იდენტიფიცირება);
II. ცვლილებების შემუშავება;
III. ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის პოლიტიკა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა სამი მიმართულებით წარმოებს:

I. კარიერული განვითარების ცენტრის ფარგლებში არსებული კურსდამთავრებულთა ქსელი;
II. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობები;
III. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განხორციელებული აქტივობები.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების მიზნით პარტნიორი ორგანიზაციების რიცხოვნობის გაზრდას.

აღსანიშნავია რომ თვითშეფასების ანგარიშში დაფიქსირდა არაერთი ხარვეზი. ასევე დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის მასალები ძალზედ მწირია.

მიზანშეწონილია გააქტიურდეს ფაკულტეტის ხარისხისა და უსდ-ს ხარისხის სამსახურებს შორის ურთიერთთანამშრომლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - 09.02.2018, #49(17/18)
- მემორანდუმები
- ურთიერთდასწრების პოლიტიკა
- გამოკითხვის შედეგები
- აკადემიური მოსწრების ანალიზი

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია გააქტიურდეს ფაკულტეტის ხარისხისა და უსდ-ს ხარისხის სამსახურებს შორის ურთიერთთანამშრომლობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამას გარე შემფასებელი არ ჰყოლია. სასურველია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის ხელმძღვანებლებმა ხარისხის სამსახურთან ერთად ითანამშრომლონ გარე შემფასებლებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მენეჯმენტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 17 ოქტომბის #116 გადაწყვეტილება. • პროგრამის მონაწილე პირთა გამოკითხვის ანალიზი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის ხელმძღვანებლებმა ხარისხის სამსახურთან ერთად ითანამშრომლონ გარე შემფასებლებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება მოიცავს ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზს და შედეგების შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბებას. მომიჯნავე საბაკალავრო პროგრამაში ჩართული მხარეების ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მართალია დაწესებულებაში დეტალურადაა გაწერილია რეგულაციები, ფაკულტეტზე ნაწილობრივ არის ამოქმედებული მომიჯნავე პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების სისტემა, რაც უზრუნველყოფდა პროგრამის გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მენეჯმენტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა; • მომიჯნავე პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია ფაკულტეტზე ამოქმედდეს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების სისტემა და მიეცეს მას მუდმივი ხასიათი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები		√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			√	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა			√	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			√	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

რუსუდან სეთურიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკა ლეკაშვილი

ეკა დევიძე

დავით ბურჯანაძე